ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 26
პარასკევი, 5 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 26
პარასკევი, 5 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1 ამა თებერვალს გარდაიცვალა ახერნში ქვრივი კავკასიის ნამესტნიკად ყოფილის გენერალ ფელდ-მარშალისა, კნეინა

## ელისაბედ დიმიტრის ასული ბარიატინსკისა.

ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ განსვენებულის დეიდაშვილნი კნეინა **მარიამ ვახტანგის ასული** და თავ. **ნიკოლოზ ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანები**, რომ წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქმნება სიონის ტაძარში, ორშაბათს, 8 თებერვალს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (2—12—1)

**ქვრივი თავადის დავით სვიმონის ძის აგიაშვილისა კნეინა ზაიდახანუმ ბესარიონის ასული და ასულნი მათნი კნეინა ნინო დავითის ასული აგიაშვილისა, კნიაჟნა ნატალო და ბაბო დავითის ასულნი და სიძე თავადი თეიმურაზ გიორგის ძე აგიაშვილი**, აუწყებენ რა გარდაცვალებას

## თავადის დავით სვიმონის ძის აგიაშვილისას,

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ სოფ. ტყაჩირს 12 ამა თებერვალს, ნაშუადღევის 3-ს საათზედ, მიცვალებულის გამოსვენებაზედ დასასწრებლად ტყაჩირის წმიდისა მოწამისა ივლიტე და კვირიკეს ეკკლესიაში. (2—13—1)

Y. YERMOREL

constructeur Villefranche (Rhone) ვაზის შესასხურებელი მანქანა „ეკლერ“ და გოგირდის შესაყრელი მანქანა „ტორპილი“. (10—4)

შაბიამანი
**macclesfield**
ერთად-ერთი წარმომადგენელი მთელის რუსეთისა და კავკასიისა.
მ. ფრიდონოვი. ტფილისში.

გაზეთ „კავკასის“ კანტორაში
ისყიდება
რუსული ახალი წიგნი
**ნორ-ქალაქ**
(ბინოკლისა)
წერილები უნებურად ორ-ცოლიანისა და საზოგადოდ გაუფრთხილებელის კაცისა
**ფასი 1 მან.**, გაგზავნით ფოსტით 1 მ. 25 კაპ. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ 25%.
ამ გამოცემის წმინდა შემოსავალი დანიშნულია გადმოსახლებულთა სასადილოსთვის ტფილისში.
(2—მ.—1)

ნოტარიუსის
**ლევან მღებროვის**
**კანტორა**
გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ზემო სართულში, № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. ტელეფონი № 620. (30—6.—9)

მკერვალი
ევროპიულის ტანისამოსისა
**ივანე სვანიძე**
გადავიდა ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ზუბალოვის სახლებში სასულიერო სემინარიის პირდაპირ № 4.
(6—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ა. ა. ხაჯასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ე. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ)

**ვეკისრულობ**
**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,
რაც შეიძლება ჩქარა ვასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.
**ალექსანდრე გრიგორის ძე სნექკოვი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567.
(20—3—10).

### მთავრობის განკარგულებანი

—

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან ქ. ტფილისის პირველ ნაწილის მომრიგებელი მოსამართლე მღებროვი—რადგანაც იგი ტფილისის ნოტარიუსად იქმნა დანიშნული.

გამწესებულ იქმნა აზ. გაბრიელ ვასილის ძე დუჩიძე—ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელედ.

## ახალი ამბავი

—

*** პირველ თებერვალს ახერნში (გერმანიაშია) გარდაიცვალა ქვრივი გენერალ-ფელდმარშალის კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფის თავ. ბარიატინსკისა კნ. ელისაბედ დიმიტრის ასული ბარიატინსკისა. განსვენებული ჯამბაკურ-ორბელიანის ქალი იყო. ძმის წული ცნობილის პოეტის თავ. ვახტანგ ორბელიანისა. კნ. ბარიატინსკისა გარდაიცვალა ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გარდაეცა 1000 მანეთი. ამ ფულით დახმარება უნდა აღმოუჩინონ ზოგიერთ სასწავლებლის გაჭირვებულ მოსწავლეებს.

*** კვირას, 31 იანვარს, განჯაში გამართულ იქმნა ჩვეულებრივი ქართული საღამო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. საღამოში მონაწილეობა მიუღიათ ქართულ არტისტებს ქ-ნ გაბუნია-ცაგარელს და ბ-5 აბაშიძეს და ოპერის არტისტს ბ-ნ კამიონსკის. საღამოს ხალხი ბლომად დასწრებია. შემოსავალი დიდი ყოფილა.

*** უწმ. სინოდმა დაამტკიცა სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების ახალი წესდება. ამ წესდების ძალით გადიდებულ იქმნა პროგრამები საღვთის-მეტყველო საგნებისა, და შემცირებულ არა საღვთის-მეტყველო საგნებისა. ძალიან შემცირებულია განსაკუთრებით პროგრამები მათემატიკისა, ფიზიკისა და გეომეტრიისა; შესამჩნევად შემცირებულია აგრეთვე პროგრამები ფილოსოფიისა და ფსიხოლოგიისა. საღვთის-მეტყველო საგნების პროგრამა გადიდებულ იქმნა, გარდა გომილეტიკისა: ეს საგანი სრულიად გაუუქმებიათ. ახალის წესდებითვე სემინარიების ინსპექტორებად და სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველად, აგრეთვე ლიტურღის მასწავლებლებად სემინარიებში უნდა უეჭველად დაინიშნონ ხოლმე ან ბერები და ან მღვდლები. გაუქმებულ იქმნა სასწავლებლებში ინსპექტორის ანუ ზედამხედველის თანაშემწის თანამდებობა. ამის ნაცვლად აღმზრდელთა რიცხვი იქმნა გამრავლებული. ამ აღმზრდელთ უნდა დახმარება აღმოუჩინონ ხოლმე მოსწავლეებს გაკვეთილების სწავლების დროს და მათ ყოფა-ქცევასაც თვალყური ადევნონ.

*** საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს გარდაწყვეტილებით კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი დანიშნულ იქმნა ხარფუხის სამის სამრევლო საეკკლესიო სკოლის მზრუნველად. ერთი სკოლათაგანი დაარსებულია საქართველოს მეფის ერეკლე II სახსოვრად.

*** ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენ. საგინაშვილმა ნება-რთვა მიიღო იმისა, რომ მოიწვიოს გუბერნიის თავად აზნაურთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა აარჩიოს ბანკის რწმუნებულნი. კრებასვე ლაპარაკი ექნება გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებაც. როგორც „ახ. მიმ“ იუწყება, კრება მოხდება 2 მარტს.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ აზრადა აქვთ დააარსონ ტფილისში საშუალო საკომერციო სასწავლებელი. ტფილისის ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტმა მიჰმართა ამიერ-კავკასიის ქალაქების—ბაქოს, ბათუმის, ერევნის და სხვ. გამგეობათ და საკრედიტო დაწესებულებათ და სთხოვა ამ სასწავლებლის დაარსების საქმეში ფულით დახმარება აღმოგვიჩინეთო.

*** ტფილისის საგუბერნიო გამგეობის აღმაშენებელმა განყოფილებამ უკვე განიხილა და წარუდგინა უმაღლეს მთავრობას დასამტკიცებლად პროექტი ზაქათალის ოლქში მდ. ალაზანზედ ახალის რკინის ხიდის გამართვის შესახებ.

*** პეტერბურგიდგანატყობინებენ „ახ. ამ.“-ს, რომ ამ წელს სტუდენტთა თხზულების დაფასების დროს კარგის თხზულებისათვის ოქროს მედალი მიიღო აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტის სტუდენტმა ჯავახიშვილმა. ოქროს მედლები მიუღიათ ოთხ სხვასაც, რომელთაც სწავლა ტფილისის პირველ და მეორე გიმნაზიაში აქვთ დამთავრებული, სახელდობრ, ი. ტხორჟევსკის, რ. იოანესიანს, ა. მულინს და ადონიანცს.

*** ს. სვირი, (შორაპნის მაზრა). 19 იანვარს ბ-ნ ცუცქირიძეს თავისმა მეზობელმა ნაჯახი დაჰკრა თავში და იქვე სული დაალევინა. აი, ამ საქმის გარემოება. ცუცქირიძემ თავისი ბავშვები გაჰგზავნა შეშის მოსატანად. ბავშვები შესულიყვნენ მკვლელის მამულში და შეშის ჭრა დაეწყოთ, პატრონი წამოსწრებია და ნაჯახი წაერთმია მათთვის. ბავშვები სახლში გაქცეულიყვნენ და ეს ამბავი უფროსებისთვის ეთქვათ, გაჯავრებული მათი პატრონი წინ შეხვედროდა ნაჯახის წამრთმევს და ეხლა თითონ მოენდომებინა მისთვის ნაჯახის წართმევა. აი ამისთანა უბრალო საქმისათვის მოუვიდათ ერთმანეთში ლაპარაკი და ნაჯახის პატრონი ამ ნაჯახის მსხვერპლი გახდა.

*** ქუთაისი. 30 იანვარს ქ-ნ ტ. გ. ნაზაროვის თაოსნობით დასაარსებლად განზრახულ „ყრმათა დამხმარებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართა აქაურს „კრუჟოკის“ დარბაზში საცეკვაო საღამო ცოცხალის სურათებით. ხალხი ნაკლებად დაესწრო. წმინდა შემოსავალი ას მანეთამდის იქნება.

წესდება ამ საზოგადოებისა შეადგინეს ამ ორის თვის წინად და წარუდგინეს დასამტკიცებლად ადგილობრივს გუბერნატორს, მაგრამ ჯერ იგი არ დაუმტკიცებიათ, რადგან ცოტაოდენი ცვლილება სჭირდება. იმავე დღეს ქუთაისის საბჭოს დარბაზში დანიშნული იყო საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრთა კრება, მაგრამ რადგან საკმაო რიცხვი წევრთა არ დაესწრო, კრება ვერ შესდგა და გადიდო მომავალ კვირისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 იანვარს აქაურმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა პირველად ხუთ მოქმედებიანი დრამა ბიერნსონისა „გაკოტრება“, ნათარგმნი თ. შ. დადიანისა. დრამა მშვენიერის შინაარსისაა და კარგის ქართულის ენით ნათარგმნი. სამწუხაროდ, წარმოგენას საზოგადოება ცოტა დაესწრო: თეატრი თითქმის ცარიელი იყო; ამისდა მიუხედავად პიესა ჩინებულად წარმოადგინეს. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ამ წარმოდგენაში ბ-ნმა გამყრელიძემ, რომელმაც საუცხოვოდ ჩაატარა მოუსყიდველის, მეტად მტკიცე ხასიათის მოხუცებულის ვექილის როლი. ძალიან კარგს იზამს ბ-ნი ალექსი—მესხიშვილი, რომ ამ პიესას სხვა უფრო მარჯვე დროს ითამაშებდეს. ორს თებერვალს წარმოსადგენად დანიშნულია ქ-ნ ივანიძის საბენეფისოდ „პირინეის მგელი“.

** ს. თვალეთი, (შორაპნის მზარა). აქაურს მცხოვრებს ბ-ნს ბიწაძეს, თავისს მეზობლის ნაყანვარში—დაულლებული ხარები მიჰყავდა, რაიცა ადგილის პატრონისაგან აღკრძალული ჰქონდა, მაგრამ მოძალადე არ დაერიდა იქ გავლას. ეს ჯიუტობა ძვირად დაუჯდა ბიწაძეს: ადგილის პატრონი დაუხვდა წინ და კეტის ერთი დაკვრით იქვე სული გაანთხევინა.

** ქალაქის გამგეობამ მიანდო ალმაშენებელ განყოფილებას შეადგინოს პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ბ-ნ ბუჭუევის სახლის გადაკეთების შესახებ ქალაქის საშუალო სამკურნალოს მოსათავსებლად. ბ-ნი ბუჭუევი ამ სახლს ქალაქს 70,000 მანეთად უთმობს.

** გაზ. „კავ.“-ის სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებელმა მიიღო ახალის საზოგადოების „კავკასიის შუშის მკეთებლის საქციონერო საზოგადოების“ წესდების პროექტი. ამ საზოგადოებას აარსებენ ძმ. ბერგმანები იმ მინის მკეთებელ ქარხნის გასაძლიერებლად, რომელიც გორის მაზრის დაბა ბორჯომში არსებობს.

** შტაბს-როტმისტრის ჩხეიძის ქალი, ანნა, ალექსანდრეს სახელობის დაჭრილთა კომიტეტის დადგენილებით, მიღებულ იქმნა პატრიოტულ ინსტიტუტში ამ კომიტეტის ხარჯით.

** როგორც „კავ.“-ს სწერენ, სიღნაღის მაზრაში ყვავილი ამ ბოლოს დროს შესამჩნევად შესუსტდა და იმედი აქვთ, რომ მალე სრულიად მოისპობა.

** 16 თებერვლისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად დროებით საქმე თანამდებობიდგან გადაყენებულის ტფილისის სასაზინო პალატის მდივნის კონსტანტინე თუთრამისა, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ ძალას ატანდა და ქრთამს თხოულობდაო. თუთრამეს სასამართლოში დაიცავს ნაფიცი ვექილი ე. მ. ტურგენიძე.

** ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა ტფილისის გუბერნიის გამგეს, რომ ავჭალისა და ნემეცთა მოედნები უსუფთაო მდგომარეობაშიაო. ამ მოედნების დასწმენდა ქალაქის თვით მმართველობის ვალია.

** სიღნაღის მაზრაში გურჯაანის მცხოვრებელმა თედო ოდიშელიძემ მძიმედ დასჭრა თავისივე სოფლელი სესია ოდიშელიძე. დაჭრილი საშიშ მდგომარეობაშია თურმე.

** ანგარიშს 30 იანვარს მომხდარ იურიდიულ საზოგადოების სხდომისას, რომელზედაც თავისი მოხსენება წაიკითხა ბ-ნმა ფრენკელმა და რომლის შესახებაც დაბეჭდილი გვქონდა წერილი „გაკვრით“, ამ დღეებში გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს დაწვრილებით.

** „ახ. მიმ.“-ს სწერენ გორიდგან, რომ ამ ბოლოს დროს გორის მაზრაში ძალიან გავრცელდა ქურდობა-ავაზაკობაო. სოფელ სვენეთის მცხოვრებელს ქაიხოსრო შატბეროვს მოჰპარეს ორი ხარი და ერთი ძროხა. მოპარული საქონელი სოფ. ქვემო-ბიკარის მცხოვრებელს კიბილო ბოლოტაშვილს აღმოაჩნდა. სოფ. ოძისში ცეცხლი წაუკიდეს ოლგა გუბელაძის თივას. ეჭვი მიიტანეს ამავე სოფლის მცხოვრებელ მათე კუჯეშვილზედ.

** იმავე გაზეთის სიტყვით, სენაკის მაზრის სოფ. ბანძაში შემდეგი მკვლელობა მომხდარა: ვიღაც ბოროტ-მომქმედს გამოუხმია სახლიდგან გარეთ ერთი ებრაელი ვაჭარი და იქ რევოლვერით მოუკლავს. მოკლული ღარიბი ვაჭარი ყოფილა.

** სიღნაღის მაზრაში მაღაროს კალოებზედ, სოფ. მაღაროს მცხოვრებელთ დავით და მიხაკო ქადაგიშვილებმა ჩხუბის დროს მძიმეთ დასჭრეს ხანჯლით თავისივე სოფლელი ვანო ბაიდოშვილი.

** ადგილობრივის რუსულის გაზეთების სიტყვით, ვარანცოვის ქუჩაზედ დროებით მცხოვრები თავ. ს. ტ. ჩერქეზიშვილი 31 იანვარს, დილით გამოსულა თავის სახლიდგან და საღამოს 10 საათზედ უკანვე დაბრუნებულა მძიმეთ დაშავებული. ამასთან დაშავებულს ქუდი, ხანჯალი და სარტყელი თან არ აღმოაჩნდა. დაშავებულს ლაპარაკი ძლივს-ღა შეეძლო თურმე. ის-ღა უთქვამს მხოლოდ, რომ ნივთები დავკარგეო. ჰფიქრობენ, რომ თავ. ჩერქეზიშვილი შინ დაბრუნებისას ხრამში ჩავარდა და დაშავდაო. მეორე დღეს, 1 თებერვალს, თავ. ჩერქეზიშვილი გარდაცვლილა.

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება.

3 თებერვალი.

თავმჯდომარეობდა უგანათლებულესი თავადი პ. ა. გრუზინსკი. წაკითხულ იქმნა ოქმები საზოგადოების საბჭოს სხდომებისა. ზოგიერთმა საქმემ, რომელიც ამ სხდომებზედ საბჭოს განუხილავს, კამათი გამოიწვია.

ი. გ. ალიხანოვი. მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ლანჩხუთისა და ნიგოითის მცხოვრებთა თხოვნის შესახებ. ამ სოფლის მცხოვრებთ მოჰმართეს საზოგადოებას და სთხოვეს დახმარება აღმოუჩინეთ, რათა წყალდიდობისაგან მინდვრების უზრუნველსაყოფელად მდინარის შესამაგრებელი კედელი იქმნას გაკეთებულიო. საბჭოს, როგორც წაკითხულის ოქმიდგან სჩანს, წაუკითხნიათ ეს თხოვნა და კავკასიის წყალთა და მდინარეთა ინსპექტორისათვის გაუგზავნია, ე. ი. თავიდგან მოუშორებია და სხვისთვის მიუნდვია, ეს საქმე თქვენ მოაწყეთო. ჩემის აზრით კი ეს საქმე მეტად საყურადღებოა და ასე სხვის ანაბარად მიგდება არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ სოფლელნი პირადად ჩვენა გვთხოვენ დახმარებას. საჭიროა ავირჩიოთ განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ადგილობრივ უნდა დაათვალიეროს და გამოიკვლიოს ყოველივე წვლილი ამ საქმისა. გარდა ამისა, საჭიროა შუამდგომლობა ავღძრათ ამავე საქმის გამო კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე.

გ. დ. კოლჩევსკი. საბჭო სწორედ ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა. მან მიანდო წყალთა და მდინარეთა ინსპექტორს და საზოგადოების ზოგიერთ წევრს ადგილის დათვალიერება. საბჭოს არ შეეძლო განსაკუთრებულის კომისიის გაგზავნა, რადგან ეს ძნელიც არის და მეტად ძვირადაც დაჯდება.

თავმჯდომარე თავ. პ. ა. გრუზინსკი. პირდაპირ კომისიის გაგზავნა და შუამდგომლობის დაწყება შეუძლებელია. ჯერ საჭირო ცნობები შევკრიბოთ ამ საქმის შესახებ. საბჭო ასეც მოიქცა. სთხოვა მცოდნე კაცებს ადგილის დათვალიერება და ცნობების შეკრება. შემდეგ-კი, როდესაც ამ ცნობებს შევკრებთ, საქმეს შეუდგებით და შუამდგომლობასაც ავღძრავთ.

შემდეგ კამათი გამოიწვია ტფილისის საპალოსნო სკოლის საქმეებმა. საზოგადოების საბჭომ მიწათმოქმედების სამინისტროსაგან ქაღალდი მიიღო, რომელშიაც სამინისტრო აცყობინებს, ორ წელიწადს ვადას გაძლევთ და ამ ხნის განმავლობაში მოაწყეთ საპალოსნო სკოლაო.

ი. ქუთათელაძე. მე ძალიან მიკვირს, საბჭო რად აგვიანებს სკოლის გამგის ამორჩევას. სასწავლებელს აუარებელი საქმეები აქვს და გამგე-კი ჯერ არა ჰყავს. 17 კაცმა სთხოვა, გამგედ დაგვნიშნეთო. თხოვნების მიღება საბჭომ შეაჩერა კიდეც.

მ. დ. კოლჩევსკი. მაგის მიზეზი ის არის, რომ საბჭო ცნობებსა ჰკრეფს კანდიდატების შესახებ. 17 კაცმა ითხოვა, მაგრამ საბჭო არც ერთს მათგანს არ იცნობს.

ა. ნატროშვილი. სამინისტრომ ორი წელიწადი ვადა დაგვინიშნა, რომლის განმავლობაშიაც უნდა მოვაწყოთ სკოლის საქმეები. საბჭომ ამ მოწერილობის გამო დაადგინა, რომ მხედველობაში მივიღოთო. ჩემის აზრით მხედველობაში მიღება-კი არა—საქმეს უნდა მივყოთ ხელი. სამინისტრო პირდაპირ გვეუბნება, ამ ხნის განმავლობაში ესა და ეს უეჭველად უნდა გააკეთოთო. მაშასადამე, თუ არ გავაკეთეთ, სკოლა ხელიდგან გამოგვეცლება. ეს აშკარაა.

მ. დ. კოლჩევსკი. სკოლას-კი არ ჩამოგვართმევენ და შეიძლება შემწეობა-კი აღარ აღმოგვიჩინონ.

ა. ბ. ეკანგულოვი. ქაღალდში დაწვრილებით აღნიშნულია, რა და რა უნდა გავაკეთოთ. ამ საქმეებს დასჭირდება 20—30 ათასი მანეთი. საიდა გვაქვს ჩვენ ამდენი ფული. შეიძლება სასწავლებელი მოვაწყოთ და მერე ჩამოგვართვან. ხოლო თუ ასეა, ფული რაღად დავხარჯოთ. აშკარაა ამიტომ, ჩვენ ეხლავე გადაჭრილი პასუხი უნდა შევუთვალოთ, რომ არ შეგვიძლიან ყველა იმის გაკეთება, რასაც გვავალებენ.

ი. ქუთათელაძე. ჩემის აზრით, ეხ-

# ფელეტონი

## იჭვიანობა...

(პატიმარის ხელთ-ნაწერი)

ფრანსუა კოპპეს მოთხრობა.

(დასასრული *)

დიაღ, საშინელი ტანჯვა გამოვიარე, მაგრამ ვიტანჯებოდი არა სინიდისის ქენჯნით, თავისუფლების დაკარგვისა და ავაზაკთა შორის ცხოვრების გამო გამოწვეულის ფიქრით! არა... უფრო, უფრო საშინელისა... იჭვიანობა მტანჯავდა!.. არას დროს არ ვყოფილვარ იჭვით შეპყრობილი, რადგანაც მარგარიტა იმ ხუთის თვის განმავლობაში, რაც ერთად ვცხოვრობდით, იჭვიანობის საბუთს არას მაძლევდა. მთელი დღე სახლში იჯდა მარტოდ-მარტო.

სწორედ ის მოხდა, რაც მე დანაშაულის ჩადენამდე გავითვალისწინე. მარგარიტა საშინლად შეაწუხა ჩემმა საქციელმა. სტიროდა მდუღარედ და ჩემის დაღუპვის მიზეზად თავისს თავს სთვლიდა. როცა ჩემის ნახვის ნება მისცეს, დავინახე საპატიმროს მოაჯირს იქით მარგარიტას სახე, ჯავრისაგან საშინლად შეწუხებული. შემიყვარა? დარწმუნებული ვიყავი.

მე მახსოვს პირველი ჩვენი შეხვედრა. დაღონებული ვუცქეროდით ერთმანერთს, რკინის მოაჯირით დაშორებულნი.

— ცოტად მაინც გიყვარვარ განა? ვკითხე.

— წინანდელზედ უფრო მეტად! განა არა ჰხედავ?..

— ამას წინად რომ ისე გულ-ცივად მიყურებდი...

— შენმა მოქმედებამ სრულიად გამომცვალა! განა ვიფიქრებდი, რომ ისე გიყვარვარ!.. გამომცადე, თუ გინდა...

— მარტო ერთი რამ დამაჯერებს...

— რა?

— შეგიძლიან თუ არა შენ ჩემს განთავისუფლებას დაუცადო და ისევ ჩემი ერთგული იყო?

— აღთქმას გაძლევ, გეფიცები!..

— რით ღა იცხოვრებ?

— ვიმუშავებ!

— შენ? ჩემი უძლური მარგარიტა?.

— კერვა ვიცი... აი, ჰნახავ...

ერთის კვირის შემდეგ მარგარიტა ჩემთან მოვიდა, გაიხადა ხელთათმანები და მაჩვენა ორივე ხელები, რომლებზედაც ნემს კარგა შესამჩნევი კვალი დაეჩნია. მიამბო, რომ ერთის მაღაზიის საკერავი ეკისრა და ამ ჟამად დღეში ორმოც სუს **) იღებდა; მალე-კი დღეში სამს ფრანკს მოელოდა.

— ამით-კი შეიძლება ცხოვრებაო, ღიმილით დაუმატა: რასაკვირველია, თუ უსაფუძვლოდ ხარჯვას არ დავიწყებ. მაგრამ მე ამაზედ აღარ ვფიქრობ, ჩემი ერთად-ერთი ფიქრი ის არის, რომ ჩემს საყვარელ არსებას ვასიამოვნო.

რა უნდა ყოფილიყო ჩემთვის ამის შემდეგ საპატიმრო, საზიზღარი ფარაჯა, საძაგელის ხორცის წვენი, რომელსაც საძაგელ კაცებთან ერთ ჯამში მაჭმევდნენ და უძილო ღამეები! მარგარიტას ვუყვარდი, ის მუშაობდა, რათა ლუკმა-პური პატიოსნად ეჭამა და მე მიცდიდა. შესაძლოა განა ეს? უბედური ჩემი თავი! მე ქურდობა ჩავიდინე ამ ქალის გულისათვის, მაგრამ სასჯელის გარდახდის შემდეგ იგივე მანუგეშებს, რადგანაც ის ახლა სულ სხვაა: შრომითა და სიყვარულით იმდენად გამოცვლილი იქმნება, რომ ჩემს ხელ ახალს ზნეობით დაცემას თითონვე ხელს შეუშლის, თუ ვინიცობაა ისევ მაცდურებამ შემიპყრო. აჰ! ძალღონით სავსე ვიყავი ხმა-ამოუღებლად ამეტანა სასჯელი. ჩემის პატიმრობის მწარე წამს მარგარიტას ფიქრში ვიყავი, გული იმედით მევსებოდა, ამხანაგები მეკითხებოდნენ, ასეთი მოღიმარი სახე რადა გაქვსო. დიაღ, მე, უბედური პატიმარი, ტუსაღის ფარაჯაში გახვეული, ასე ბედნიერად ვგრძნობდი თავს და ეს ორი თვეც გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მარგარიტა ყოველ-კვირას მოდიოდა ჩემთან. ვხედავდი იმისს უძილობით დაღალულს თვალებს, სიღარიბის გამო გამხდარს ლოყებს, კერვისაგან დაჩხვლეტილს თითებს და ერთსა და იმავე კაბას, რომელიც დღე-დღეზედ ხუნდებოდა.

ერთხელ—ამ დღიდგან დაიწყო ჩემი ტანჯვა—ის ახალის კაბით მოვიდა. მაშინვე იჭვმა შემიპყრო, მაგრამ პირდაპირ შემომხედა და ღიმილით მითხრა:

— კაბას უყურებ? კლოტილდამ მაჩუქა... იცნობ კლოტილდას, ჩემს მეგობარ ქალს, რომელთანაც ვცხოვრობდი, როცა ერთმანეთი გავიცანით? ახლა იმას თაყვანის მცემელიცა ჰყავს. დამინახა თუ არა, რომ ღარიბულად მეცვა, ეს კაბა მაჩუქა. ცოტა შესწორება უნდოდა, სხვაფრივ თითქმის სულ ახალია, არა?

სიცრუე იყო!

რაც მე და მარგარიტა ერთად ვცხოვრობდით, არ უთქვამს ჩემთვის კლოტილდა ჩემი მეგობარი არისო. ოდესღაც ორივენი ერთად სცხოვრობდნენ, ერთად დადიოდნენ ყველასათვის ხელ-მისაწვდენს ბალებში. მახსოვს, კლოტილდა არც ახალგაზდა იყო, არც ლამაზი, ამისთანა ქმნილებას არ შეეძლო ეშოვა საკმაოდ მდიდარი საყვარელი, რომ იმას იმის გულისათვის დაეხარჯა რამე! ტყუილი იყო! თუმცა ეს მე ნამდვილად ვერ გადამეწყვიტა, სამაგიეროდ მატყუარას თვალები სიცრუეს ამტკიცებდა! მზად ვიყავი ჩემი აზრი გამომეთქვა, მარგარიტასთვის მკაცრი საყვედური მიმეხალებინა, მაგრამ მეშინოდა,ვაი თუ შემდეგში აღარ დაბრუნებულიყო და ამიტომ თავი შევიმაგრე.

იმან განაგრძო ლაპარაკი; შემატყობინა, რომ ახლა დღეში სამ-ნახევარ ფრანკს ვიღებო; იმდენი სამუშავო მაქვს, რომ მინდა მკერავი ქალიც ვიქირაოო... მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, სტყუოდა.

თუმცა თავსა და გულში ათას გვარი აზრი და გრძნობა მიტრიალებდა, მაგრამ თავი ბოლომდე შევიმაგრე და პასუხს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვაძლევდი. ჩემი სიჩუმე იმან უთუოდ ჩემს უბედურ მდგომარეობას მიაწერა და თითქმის გახარებულიც-კი წავიდა, რომ შესძლო ჩემი ასე მოტყუება. დიაღ, მარგარიტა მატყუებდა; მაშინ, როდესაც მე მისის გულისთვის საპატიმროში ვიჯექი, როგორც ქურდი, ის, ვინ იცის, იქნება, ახალი კაბის გულისთვის წინანდებურად თავისს თავს ჰყიდდა. დღეს ხომ ახალის კაბით მოვიდა, შემდეგ ახალი შლიაპა და ხელთათმანებიც ექმნება. ეს სიცრუე იმიტომ შესთხზა, რომ თვალები ამიბას. როცა აქ მოდიოდა, ძველს

*) იხ. „ივერია“ № 25.

**) სუ—$1^1/_4$ კაპეიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავე არ შეიძლება მაგისთანა პასუხის გაგზავნა.

გ. იოსელიანი. საქმე აი როგორ არის. ი. ტ. ტარატინოვმა შუამდგომლობა აღძრა, რომ გადადებულ იქმნას თანხა სკოლის საქმეების მოსაწყობად. ამ ქაღალდით სამინისტრო უარს გვიცხადებს თხოვნაზედ.

ალიბეგოვი. საჭიროა კომისია ავირჩიოთ და იმას მივანდოთ სასწავლებლის ყოველისავე გარემოების გამოკვლევა. საბჭოს ბევრი საქმე აქვს და თავისუფალი დრო არ მოეპოება ამისათვის.

ცოტაოდენის კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა ამ საქმის ყოველივე ვითარება საზოგადოების საბჭოს მიანდოს.

დასასრულ კრებამ მოისმინა ვიტმერის წერილი ფილოქსერის გავრცელების წინააღმდეგ ახალის კანონმდებლობათა გამოცემის შესახებ და თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის აზრი ამ წერილის გამო. როგორც ვუწყით, ფილოქსერის გადატანის, გავრცელების, ფილოქსერიან ადგილებიდგან ვაზების და სხვათა წალების წინააღმდეგ სასტიკი კანონებია. ვიტმერის აზრით; ბევრი კანონი მეტად სასტიკია და იმდენად საქმეს არა ჰშველის, რამდენადაც მცხოვრებელთ ავიწროებს და გაჭირვებაში აგდებს. ამიტომ იმის პროექტით რამდენიმე მუხლი შეცვლილი და შესუსტებულია. თვისის მხრივ თავ. ანდრონიკაშვილმა ზოგიერთი მუხლი ვიტმერის პროექტისა უადგილოდა სცნო და საჭიროდ დაინახა მათი შეცვლა და ზოგისაც დამატება.

ამ პროექტმა ცხარე კამათი გამოიწვია. ზოგმა განაცხადა, რომ ფილოქსერის გავრცელების წინააღმდეგ დადგენილს კანონმდებლობას არაფერი სარგებლობა არ მოაქვს. იგი ავიწროებს, ხელ-ფეხს უბორკავს მცხოვრებელთ და ფილოქსერის მოჰპობას, ან შეჩერებას ვერაფერსა ჰშველისო.

კრებამ შეიწყნარა პროექტი ისე, როგორც იგი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მიერ იქმნა შესწორებული.

## ქუთაისის ქალაქის საბჭო

29 იანვარი

კრება 29 იანვარს დაიწყო რვა საათზედ. თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი, რომელმაც სთხოვა საბჭოს, დააჩქაროს ხარჯთ-აღრიცხვის დაბოლოვება, რადგან უამისოდ ქალაქის სხვა საქმეების დაწყება ბრკოლდებაო.

საბჭოს მოხსენდა თხოვნა აქაურის დრამატიულის საზოგადოების კომისიისა, რომ ეპატიოს ხსენებულ საზოგადოებას 65 მან. ვალი. საბჭომ ამ თხოვნის დაკმაყოფილება მიანდო გამგეობას. შემდეგ მოხსენდა წინადადება ხმ. ო. ბ. სვანიძისა რომ საბჭოს მდივნად ყოფილს ბ-ნ ნ. მ. კანდელაკს, რომელიც ერთგულად და სინიდისიანად ემსახურებოდა ქალაქს 21 წელიწადი, მიეცეს ჯილდოდ 1,200 მანეთიო.

ხმ. დ. ა. ნაზარაძე. მოვიცადოთ, სანამ იმ შესანიშნავის „ბორდეროს“ ამბავი გათავდებოდეს, და შემდეგ განვიხილოთ ეგ საგანი. ეს საგანი საბჭომ გარდაუწყვეტელი დატოვა დრომდის. ვერ დააკმაყოფილეს თხოვნა სტუდენტის გორდულაძისა და ბ-ნ პეტრე გელეიშვილისა; პირველი ითხოვდა სტიპენდიას, მეორე სესხსავით თხოულობდა ფულს. წაიკითხეს კიდევ თხოვნა საქალაქო პირველ დაწყებითის სასწავლებლის მასწავლებლის მესხისა; ბ-ნი მესხი სთხოვს საბჭოს, 150 მანეთი მოუმატეთ ჩემს მცირე ჯამაგირსაო.

ხმ. დ. ნ. აბდუშელიშვილი. ბ-ნებო, ეს ისეთი მცირე და სამართლიანი თხოვნაა, რომ უნდა როგორმე დავაკმაყოფილოთ. იმ მცირე ჯამაგირით, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ, ცოლშვილიანს მასწავლებელს არ შეუძლიან ცხოვრება და ნახევრად მშიერს მასწავლებელს როგორ უნდა მოვთხოვოთ თანამდებობის ასრულება?

ქალაქის მოურავი. ყველა ეს მართალია, მაგრამ რა ვქნათ, რომ საშუალება არა გვაქვს?

ეს თხოვნაც უყურადღებოდ დასტოვეს. წაიკითხეს კიდევ რამდენიმე წვრილმანი თხოვნა, რომელთაგან ზოგი დაუკმაყოფილებელი დასტოვეს, ზოგის დაკმაყოფილება გამგეობას მიანდეს.

ჯერი მიდგა საინტერესო საგანზედ, რომელიც აღძრა ქალაქის მოურავმა; იგი ითხოვდა ქალაქის გამგეობისათვის მდივანს, რომელსაც შეიძლება მიენდოს საბჭოს მდივნის თანამდებობის ასრულებაც. ამ სურვილს წინააღუდგნენ ხმ. კ. დ. ბაქრაძე, პ. ათუმანიშვილი, კ. ბ. ლორთქიფანიძე, ალექ. თ. ნანეიშვილი და მ. ა. ქიქოძე, რომელნიც ცხარედ შეეკამათნენ ქალაქის თავს და ამტკიცებდენ, რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს საბჭოს ჰყავდეს თავისი საკუთარი მდივანი, რომელიც არის საბჭოს ზნეობისა და გონიერების გამომხატველი. საბჭოს მდივანს შეიძლება დაევალოს ასრულება გამგეობის მდივნის თანა-მდებობისა და არა წინააღმდეგიო. ამ საგნის გამო კამათმა თითქმის საათ ნახევარს გასტანა. შემდეგ დაიდგა ყუთი: ჰყავდეს გამგეობას თავისი მდივანი, რომელსაც საბჭოს მდივნის თანამდებობაც მიენდოს, თუ საბჭოს ჰყავდეს თავისი საკუთარი მდივანიო. 23 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ გარდასწყდა, რომ საკუთარი მდივანი საბჭოს ჰყავდესო.

კრება გათავდა ღამის თორმეტ საათზედ. გაუქმდა დაფასების გადასახადის ამკრების ორი ადგილი და მდივანს ჯამაგირი შეუმცირეს 200 მანეთით. თუ ქალაქმა სესხი აიღო, შემოსავალი ექნება 203,000 მან. და გასავალიც ამდენივე.

## რუსეთი

საერო-განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ წელს სამინისტროს ყველა სასწავლებელში ეგზამენები დამთავრებულ იქმნას 25 მაისამდე, რათა 26 მაისს მოსწავლეებს შეძლება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ ა. ს. პუშკინის ასის წლის შესრულების იუბილეის დღესასწაულებში. ეს საგანი აღძრა უმაღლესად დამტკიცებულმა კომისიამ, რომელსაც ამ იუბილეის პროგრამის შედგენა აქვს მინდობილი. კომისიამ ასეთისავე თხოვნით მიჰმართა სხვა უწყებებსაც, რომელთაც სასწავლებლები აქვთ.

— ამას წინად საერო განათლების სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდო პროექტის შემუშავება ქალაქებსა და დაბა-სოფლებში სახალხო კითხვების გასამართავად ნება რთვის აღების შესახებ. კომისიას უკვე შეუმუშავებია პროექტი და წარუდგენია განსახილველად მინისტრთა კომიტეტში. ამ პროექტით ნება-რთვის აღება სახალხო კითხვების გასამართავად გაადვილებულია. ეს ნება ეძლევათ გუბერნატორებსა და სახალხო სკოლების დირექტორებს.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, პეტერბურგის ქარხნებისა და ფაბრიკების პატრონებს შორის ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ურთ-ერთ შორის ხელის მოწერა გამართონ და ამ გვარად შეკრებილის ფულით ფონდი დააარსონ ამ ფონდის პროცენტები სამ წელიწადში ერთხელ მიეცემა იმას, ვინც საუკეთესო დრამატიულ თხზულებას შეადგენს.

## უცხოეთი

**ავსტრია.** ავსტრიის პარლამენტი უკვე დაითხოვა მთავრობამ, რადგან ობსტრუქცია ისეთს გზას ადგა, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო პარლამენტს რამე გაეკეთებინა. როგორც ჰფიქრობენ, პარლამენტს შემოდგომამდის არ მოიწვევენ, მანამდის-კი უთუოდ, პროვინციების სეიმები იქმნება მოწვეული. სარწმუნოდ ამბობენ, რომ ჩეხების სეიმის კრებები შუა მარტში გაიმართება და მთელი ერთი თვე გასტანსო. იმედი აქვთ, რომ ამ კრებებს გერმანელ-დეპუტატებიც დაესწრებიან, რადგან ესლაც თუ არ მოვიდნენ კრებაზედ, დეპუტატის უფლებას დაჰკარგავენო. შეიძლება ეს ხმები გამართლდეს, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს არ იქმნება მომასწავებელი ნიშანი ჩეხებისა და გერმანელების ერთმანეთთან მორიგებისა, რადგან პირველები, ე. ი. ჩეხები, ყოველგვარ თანასწორ უფლებას თხოულობენ გერმანელებთან, ხოლო უკანასკნელნი-კი იმის წართმევასაც აპირებენ, რაც მინიჭებული აქვთ მათ, ე. ი. ენისა.

**შვეცია.** პალატის 24 წევრმა პალატაში წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ სთხოვონ მეფეს, მოლაპარაკება გამართოს სკანდინავის დანარჩენ სახელმწიფოებთან და დაიყოლიოს ისინიც, რათა სამთავე სახელმწიფომ ერთად განუცხადოს დიდ სახელმწიფოებს, რომ შვეციისა, ნორვეგიისა და დანიის ნეიტრალიტეტი დაცულ იქმნას მუდამ. პეტიციაში ნათქვამია, რომ სკანდინავის ქვეყნების არა თუ მთავრობამ,

---

კაბის ჩაცმა არც-კი მოუფიქრია; თუ გინდ ეფიქრა კიდეც, ქუჩაში ნახმარის კაბით აღარ გამოვიდოდა. არა, იმან ტყუილის მოგონება არჩია. ალბად ასე სთქვა: „თუ არ დაიჯერებს და მით უარესი იმისთვისო!“ ამისთანა ქალის გულისათვის ვზივარ საპყრობილეში ღირსება ჩამორთმეული!

მაგრამ თუ ის ასეთი მატყუარაა, თუ არ უყვარვარ, რაღად მოდის ჩემთან? ეშმაკმა იცის! ისე, სულელურის გულ-კეთილობით, როგორც მაგალითად, ავადმყოფ მოსამსახურეს ბატონი ფორთოხალს მიაწოდებს ხოლმე.

ვაი, სირცხვილო! მთელი ერთი კვირა განუწყვეტლივ საშინელი ფიქრი მარჩობდა. მერე შიშმა შემიპყრო: „ვაი თუ შემდეგ ვადაზედ აღარ დაბრუნდეს“-მეთქი. საშინელი მწუხარება ვიგრძენი. მხოლოდ ეხლა გავიგე, ყველაფრის მიუხედავად, რა ძვირფასი იყო ჩემთვის მარგარიტა! ფიცი დავდე (და კიდეც ავასრულებ), ყველაფერი ჩემს გულშივე მომეკლა და იმისთვის არ გამეხილა ჩემი იჭვები და მის მიერ გამოწვეული მწუხარებანი.

ის მშვენიერის საშემოდგომო შლიაპით მოვა, თუ გინდ ნაძლევს დავდებ. სახე უფრო გაჰკეთებია, ფერი მოსვლია. რასაკვირველია, ეს ის საწყალი ქალი აღარ არის, რომელიც დღე და ღამ ჰკერავს და მით ლუკმა-პურსა ჰშოულობს!

მე-კი მითხრა, რომ ყველაფრით კმაყოფილი ვარ და უკვე ორი მკერავი ქალი მყავსო; ესეც ახალი სიცრუე! ვინ იცის, იქნება კარგად ვიქცევიო, ჰფიქრობდა! მართლაც არაფერი ვთქვი; ისეთი სახე მივიღე, ვითომ იმასთან ერთად კიდევაც მიხაროდა ეს ამბავი; ვთხოვე, ხელთათმანი გაეხადა და ხელი მოაჯირში გამოეყო, რომ შემძლებოდა იმისს ხელს ტუჩებით შევხებოდი. დაემორჩილა ჩემს სიტყვებს. როცა ხელზედ ვკოცნიდი, დავინახე, რომ თითებს ნემსების წინანდელი კვალი აღარ ეტყობოდა...

მაგრამ საპატიმროს საათმა თორმეტის ნახევარი დაჰკრა.

ჩემი სანთელი მალე ჩაიწვება.

დავჩქარდეთ.

დრო რომ მქონდეს აღვნუსხავდი ყველა იმ წვალებას, რომელიც მე გამოვიარე და რომელიც შეიძლება ორი სიტყვით გამოითქვას: „იჭვიანი პატიმარი!“ დიაღ, ავწერდი ყველა იმ ტანჯვა-წამებას, რომელიც მაგრძნობინა მარგარიტამ თავისის ნახვით, განსაკუთრებით ერთხელ...

ოო, ის ტანჯვა ყველაზედ უსასტიკესი იყო.

იმ დღეს მარგარიტას მოსვლამდე ვცდილობდი ჩემი თავი დამერწმუნებინა, რომ მეტის-მეტი იჭვიანი ვარ და ადვილი შესაძლოა, ქალს იმდენი ემუშავა, რომ ახალი ტანისამოსი ეყიდნა-მეთქი. ერთმა მცირე რამემ, რომელიც მაშინ მომაგონდა, თითქმის დამარწმუნა. მარგარიტას, რომელსაც ჩემთან ახალის ტანისამოსით მოსვლისა არ ეშინოდა—ეს უფრო მისის უდანაშაულობის საბუთი იყო — არავითარი ძვირფასი ნივთი არა ჰქონდა. ჩემ მიერ მოპარულის ფულით ნაყიდი სამაჯური პატრონსავე დაუბრუნა. ეს ერთად-ერთი ძვირფასი ნივთი იყო, რომელიც მას როდისმე ჰქონოდა; მანამდე-კი, თუმცა ღარიბი იყო, მაგრამ ძვირფასი ნივთი არ უყვარდა, კიდეც ეჯავრებოდა. ეს გარემოება ჩემს გულში ღრმად იყო ჩანერგილი.

მაგრამ გამახსენდა, რომ თუმცა თითებზედ ბეჭდები არა ჰქონდა, სამაგიეროდ ნემსების კვალიც აღარ აჩნდა; ჩემს გულში ვამბობდი, რომ შეიძლება ძვირფასი ნივთები მიეღო და კი არ ეტარებინა. მაგრამ ამ დღეს ჩვეულებრივზედ უფრო გულ-რბილი ვიყავი: ათას გვარ მოსაზრების შემდეგ იმ აზრს ვადგებოდი, რომ მარგარიტა მართალი არის-მეთქი.

იგი, ჩვეულებრივ, დანიშნულს საათზედ მოვიდა. დავინახე თუ არა მოაჯირს იქითკენ, მაშინვე ვიგრძენი, ვითომ ჩემს გულში იჭვები გაჰქრაო. მაგრამ, როცა იმისს ახლოს ვიდექი, თითქოს განგებ, პირველადვე საყურეებისთვის ახლად გამოჩხვლეტილი ყურები დავუნახე. ჰმ, სჩანს აქვს და კიდეც ატარებს ძვირფასს ნივთებს, რომლის ყიდვა მე მარტო მოპარულის ფულით შემეძლო! ალბად ყურებს მარგალიტი და ბრილიანტი უმშვენებს. განგებ გამოუღია ყურიდგან, რომ არ დამენახოს და გული არ მომიკლას-მეთქი.

ამ დღიდგან გადავწყვიტე, რომ მარგარიტამ მიღალატა-მეთქი და თავის მოკვლაც განვიზრახე. დროც არის: მშიშარა ვარ, სიკვდილისა მეშინიან; ამას გარდა, უნდა გამოვტყდე, რომ მაინც მიყვარს იგი და ვფიქრობდი, ისევ ჩემთან მეცხოვრებინა, როგორიც უნდა ყოფილიყო. დავცინოდი ჩემს თავს, ჩემს იჭვიანობას, მაგრამ ის აზრი, რომ მარგარიტამ მომატყუა, თავისი თავი ჩემს აქ, საპატიმროში, ყოფნის დროს სხვას მიჰყიდა-მეთქი, ძლიერი გამოდგა: იგი მაბრაზებდა, მაცოფებდა... და თან სირცხვილით მაწითლებდა!

დიაღ, როგორც ვთქვი, შემეძლო ხვალ მარგარიტასთან ერთად პური მეჭამა ჩვენს პატარა ოთახში, რომლის ფანჯარიდგან დიდი ბაღი მოსჩანს ოქროს ფერის ხეებით. დიაღ, სასიამოვნო იქნებოდა... მაგრამ ამ დროს რომ ჩვენის ბუხრის ნაცარში შევნიშნე, პაპიროსის ნამწვი, მარგარიტას გუშინდელ საყვარლის მიერ დაგდებული, ადვილად შეიძლება დანას ვტაცო ხელი და მარგარიტას გულში გავუტარო. არა, არ მინდა კაცის მკვლელი გავხდე. ისიც კმარა, რომ ქურდი ვარ... სიკვდილი უკეთესია... უკეთესია მოვკვდე ისე, რომ არ მეჯავრებოდეს!.. რაც მოხდა, იქნება აუცილებელიც იყო... საერთოდ იგი კეთილის გულის პატრონი იყო... იქნება ცოტად კიდეც ვუყვარდი იმ დღეს, როდესაც ერთგულმა შემომფიცა და შესრულებით-კი ვერ შეასრულა...

მშვიდობით, მარგარიტა! გულით ავი ქალი არა ხარ. როცა ამას წაიკითხავ, დარწმუნებული ვარ, ერთის წამით კიდეც ატირდები! მაგრამ დაუვიწყარი არა არის-რა! შემდეგში, როდესაც ერთ-ერთი შენი საყვარელი თავისის თავის გასართობად შენს თავ-გადასავალს გათქმევინებს, ამ ამბით თავის ქებას მოჰყვები, როგორც ყველა შენისთანები! წამოხტები ლოგინიდგან შიშველის ფეხებით, ამოიღებ ამ ფურცლებს ყუთიდგან, სადაც შენ სათამაშო ბანქო გიდევს, ხელ-ახლად წაიკითხავ ჩემს აღსარებას და ამპარტავნობას დაიწყებ იმითი, რომ ჩემის გულისთვის საწყალმა თავი მოიკლა...

საათმა შუაღამე დაჰკრა!.. სანთელი ჰქრება... უკვე შევკრიბე თოკად ჩემი ზეწარი, ეს გადებული რკინის ჯოხიც მაგარია... ცოტაოდე გამბედაობაც და ყველაფერს ბოლო მოეღება!..

ვ. სე—ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ ერის წარმომადგენლებმაც საქვეყნოდ უნდა განაცხადონ, რომ, ვინიცობაა, ომი თუ ასტყდა, არას შემთხვევაში არ მიეხმარებით არც ერთს უცხო სახელმწიფოსო. ასეთ შეუმდგომლობის მოთავეთ შვეცია-ნორვეგიისა და დანიისათვის დიდ სახელმწიფოებისაგან მონიჭებული ნეიტრალიტეტი იმდენად საჭიროდ არ მიაჩნიათ, რამდენადაც ის, რომ სკანდინავის მეზობლებმა აქედგანვე იცოდნენ, რომ გერმანეთთან თუ ომი მოუხდათ, სკანდინავის არც ერთი სახელმწიფო არავითარს მონაწილეობას არ მიიღებს იმათ განხეთქილებაში.

—

**კუბა.** როგორც ზოგიერთი გაზეთის კორესპონდენტები იუწყებიან, კუბა ამ ჟამად ისეთს აღორძინების გზას ადგია, ისეთის ნაბიჯით მიიწევს წინ, როგორიც სიზმრადაც არ უნახავს ესპანიის მფლობელობის დროს. როდესაც მშვიდობიანობა დამყარდა, ერთბაშად აუარებელი საქონელი შეუზიდნიათ კუნძულის ქალაქებში, რადგან არეულობისა და ომიანობის დროს ყოველგვარი საქონელი გამოილეულა, რაც რამ წინად იყო მიტანილი. კუბის უმთავრეს სიმდიდრეს შეადგენს შაქარი და თამბაქო; ქვეყნის აღებ-მიცემობას ეს ორი დარგი ადგილობრივ ნაწარმოებისა აცხოველებს ყველა საქონელზედ უფრო, და აი, მომავალ წლისთვის იმედი აქვთ თურმე კუბელებს, დიდძალს შაქარს და თამბაქოს გაგზავნით საზღვარ-გარეთ. მილიონ ტონ (ტონა დაახლოებით უდრის 62 ფუთს) შაქრის გაკეთებას რაც მანქანა დასჭირდება, ეს უკვე მზად ყოფილა კუნძულზედ, მხოლოდ საჭიროა თანხა მუშების დასაქირავებლად და საქონლის სასყიდლად, მაგრამ ამ ფულის მოპოვებაც არ გაუჭირდებათ კუბელებს, რადგან ამერიკელებმა ბლომად გახსნეს სხვა და სხვა ადგილას ბანკები. თამბაქო, სამაგიეროდ, ნაკლებ ხარჯს თხოულობს, და 1900 წელს ისეთ მოსავალს მოელიან, როგორიც კარგა ხანია, არ ყოფილა. კუბის კარგად მცოდნე კაცები ყველანი იმ აზრის არიან, რომ ეს ქვეყანა აუარებელ სიმდიდრეს შეიცავს. ასე გასინჯეთ, ესპანიის მფლობელობის დროსაც-კი ხუთ მილიონ გირვანქა სტერლინგს აძლევდა იგი ხაზინას, მაშინ როდესაც ადმინისტრაციისთვის ერთის მილიონზედ მეტი არ არის საჭირო.

## ორი ხუცესი

საინგილოში არის ორი სოფელი, ერთსა ჰქვიან ალიაბეგლო და მეორეს—თასმალო. მოშხამული ჰაერი, დამპალი და ჭაობიანი ნიადაგი ამშვენებს ამ სოფლებს. აი ამ ყრუ სოფლებში ხუცესებად ჰმსახურობენ ორნი კაცნი, რომელთა შესახებ მოთხრობა წინ გვიდევს.

ჯერ საინგილოში ისევ ლეკიანობა იყო. კაკ-ილისოს სულთნები მძვინვარებდნენ და აწიოკებდნენ ინგილო-ქართველებს, რადგან ეს უკანასკნელნი აპირებდნენ შეერთებულიყვნენ თვისს მოძმე ქიზიყელ-კახელებთან. სულთნის ჯაშუშები დაძვრებოდნენ საინგილოს სოფლებში და ბრალიანსა და უბრალოს აბეზღებდნენ „ბატონის" (ასე უწოდებდნენ სულთანს) წინაშე. და ბატონიც სიმართლის გამოსააშკარავებლად თავს არ იცხელებდა, „საეჭვო" კაცებს პირველსავე შეხვედრისას მაღალს ხეზედ ჰკიდებდა, ან აუწვენებდა. წინაპარი აწინდელ ხუცესთა, რომელთა ოჯახში დაცულია ინგილოების უდიდესი სალოცავი—ძველი სახარება, სამოციქულო, ხატები, ბარძიმ-ფეშხუმი და სხ., ხეზედ ჩამოკიდებულ იქმნა, ზილფი ჯანაშვილი სადგისებით დაჩხვლიტეს ჭარელ ლეკის ცოლებმა და აწამეს...

ამ შავ-ბნელ დროს ზემორე ხსენებული ხუცესები ჯერ ისევ ჭაბუკნი იყვნენ. ერთი მათგანი გიორგი ჯანაშვილმა ჩამოიყვანა ტფილისში და თავისთან ერთად მონათლა (1850 წელს) და მერე წაიყვანა დედოფლის წყაროს და სამხედრო სკოლაში შეიყვანა. აქ მაშინ სწავლობდნენ სხვა ინგილოებიც. რამდენისამე წლის შემდეგ ამ სკოლიდგან ეს ახალგაზდა ინგილო ტფილისის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს. ეს სასწავლებელიც და მერე სემინარიაც ჩინებულად დაასრულა და მღვდლად ეკურთხა (1865 წელს). მას აქეთ უკვე 33 წელიწადია, რაც იგი ემსახურება ჩვენს ქვეყანას თავისის სიტყვით და კალმით.

იგი მხნე, ფრიად მკვირცხლი, გამბედავად მოქმედი, მჭევრმეტყველი მქადაგებელი, საქართველოს ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე. უმაღლესი სწავლა მან მიიღო მოსკოვის სასულიერო აკადემიაში მაშინ, როდესაც უკვე ჭაღარა შერეოდა. ჩვენს მწერლობაში იგი მოღვაწეობს 1864 წლიდგან. მისის მკვირცხლის კალმის ნაწარმოები იბეჭდებოდა „ცისკარში", „მნათობში", „სასულიერო მახარობელში", რომელიც გ. ხელაძის რედაქტორობით გამოდიოდა, „ივერიაში", „დროებაში", „Кавказъ"-ში, „Тифлисскій Вѣстникъ"-ში და სხ. მისი პოლემიკური წერილები, ისტორიული და ღვთის-მეტყველური თხზულებანი თვისის თავისებურობით მიიზიდავენ მკითხველს და უღვიძებენ მას კეთილ-შობილურ მისწრაფებას.

აი ასეთი კაცი დღეს, როდესაც „სამკალი მრავალ არს და მუშაკი ყოვლად არა", გამოჭედილია ქვეყნიერებას და ყრუ სოფელში „ულმობელ ბედისაგან" გატყორცილა... „ბედი მომე და სანეხვეზედ გადამაგდეო"...

ჩვენი ხუცესი-კი არც ყრუა და არც უქო, გრძნა, როგორც ჰხედავთ, მიუხედავად მისის მრავალგვარ ღირსებისა, მიუგდია იგი ხამშიანს სოფელში, სადაც ზაფხულობით ისმენს ბაყაყთა მუსიკას და ზამთრობით კი იყინება სიცივის სუსხით.

გარემოებათა ამათ გამო ფუჭად ილევა სიცოცხლე მოღვაწისა და ულმობელ ბედისაგან მრავალგვარად დაჩაგრულ კაცისა. უკეთესს გარემოებაში მას შეეძლო კიდევ ბევრი სარგებლობა მოეტანა ეკლესიისა და მამულისათვის.

მეორე ხუცესი ჯერ მოლად იყო. შემდეგ მოინათლა 1857 წელს 17 აგვისტოს. შინაურულად აღზრდილა. ქართულ სამშობლო ენის გარდა მან კიდევ ზედმიწევნით იცის თათრული, სომხური, უდური და რუსული ენები და წერა კითხვა ყველა ამ ენაზედ. 1860 წ. იგი დაინიშნა დიაკვნად ბელაქანში, შემდეგ მსახურობდა ზარსანში და კაკში. 1866 წელს დანიშნულ იქმნა მთავრად და 1870 წელს მღვდლად უდების სოფელ კართაშენში, საიდგანაც რამდენისამე წლის შემდეგ გადმოიყვანეს კაკში და აქედგან-კი სოფ. თასმალოში, სადაც, როგორც ვთქვით, იგი დღესაც ხუცესობს.

იგია კაცი მშრომელი, მხნე, ლამაზად მწირველი, მშვენიერად მგალობელი, თავდაბალი და კარგი მქადაგებელი. შინაურობაში მას შეუსწავლია მკურნალობაც და რაოდენიმე სხვა ხელოვნებაც: საათების მომართვა მოწყობა და სხ. ავადმყოფნი, უძლურნი და გაჭირვებულნი სასოებით მიდიან მასთან და იგიც უსასყიდლოდ ეხმარება ყველას. 1865—1870 წლებში იგი უსასყიდლოდ ასწავლიდა ინგილოთა ოციოდე ყმაწვილს, რომელთა შორის იყო მ. ჯანაშვილიც.

დიაღ, ამ ჭეშმარიტს მღვდელს უყვარს ერი და ერსაც უყვარს თვისი კეთილი მწყემსი.

ნეტარია კაცი, რომელიც შეყვარებით შეიყვარების!

კაკელი

## დამაკვირდი

ყველაზე უსაძაგლესი არსება ცხოველთა შორის ადამიანია; მასთან შედარებით გველიც-კი არაფერია...

* * *

ოჰ, რატომ ჩემს ხელთ არ არის, რომ ერთს წუთს მაწასთან გამესწორებინა ტახტი იმ რაღაც გრძნობისა, რომელსაც სიყვარულს ეძახიან!.. ვინ არის ამ ქვეყნად, რომ ეს გრძნობა საკასებით გამოეცადნოს და არა სწყევლიდეს?..

* * *

უბედურება რამდენადმე გამსუბუქდება, როდესაც ჰგრძნობ, რომ ქვეყნად შენზედ უბედურნიც არიან.

ბ. დ—ლი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკელებმა ისარგებლეს ესპანიასთან მომხდარ ბრძოლით. არ დაივიწყეს, რომ ესპანიელები ემუქრებოდნენ ზღვიდგან თავს დასხმას და ეხლა სცდილობენ რაც შეიძლება ძლიერ გაამაგრონ ნაპირები. ეხლახან ზღვის ნაპირას გამართეს უზარმაზარი, ზარბაზანი, რომელიც ნიუ-იორკს დაიცავს მტრისაგან.

ამ ზარბაზნის სიგძე 50 ფუტია (7 ფუტი ერთი საჟენია). ზარბაზანს ტყვია მიაქვს 5000 ადლის მანძილზე. ზარბაზნის ერთი გულა იწონავს 685 გირვანქას. გულა რკინის გზით უნდა მიიტანონ ხოლმე ზარბაზანთან. ზარბაზანი ისეა გამართული, რომ გულის გასატყორცნათ საკმარისია კაცმა ერთს ღერძს დასწიოს. ერთს წუთში ზარბაზანს შეუძლიან 8 გულა გასტყორცნოს.

* * *

ერთს გერმანულს გაზეთში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: ერთი მდიდარი დედაკაცი გზათ მიმავალი, უეცრად ქ. პრაგაში გარდაიცვალა. ამ დედაკაცს ბერლინში ჰყავდა დისწულები და ძმისწულები. ნათესავებმა მოინდომეს ბერლინში გადმოტანა განსვენებულის გვამისა და, პრაგაში მისწერეს, გვამი რკინის გზით გამოგვიგზავნეთო. მალე კუბოც მოვიდა და წარმოიდგინეთ განსვენებულის ნათესავების გაოცება, როდესაც ჰნახეს, რომ კუბოში აღმოჩნდა გვამი ვიღაც რუსის გენერლისა. იმ წამსვე დეპეშა გაჰგზავნეს პრაგაში და აღმოჩნდა, რომ დედაკაცის გვამი შეცდომით პეტერბურგში გაეგზავნათ გენერლის გვამის მაგიერად, ხოლო გენერლის გვამი-კი პეტერბურგის მაგიერად ბერლინში გაეგზავნათ. განსვენებულ დედაკაცის ნათესავებმა ახლა პეტერბურგში გაჰგზავნეს დეპეშა და სთხოვეს განსვენებულ გენერლის ჭირისუფლებს გამოგვიგზავნეთ ჩვენის ნათესავის გვამი და ჩვენც გენერლის გვამს გამოგიგზავნითო. პეტერბურგიდგან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „ნუ სწუხდებით და დედაკაცის მაგიერად გენერლის გვამი დაასაფლავეთ, თქვენის ნათესავის გვამი ჩვენ უკვე დავასაფლავეთ ისეთის პატივისცემით, როგორიც გენერალს შეეფერებოდა".

* * *

ამერიკელ მილიონების პატრონთა შესახებ დე-ნორვონსი სწერს შემდეგ ცნობებს: „ნიუ-იორკში ორმოცდა ხუთ სასახლეთა შორის მხოლოდ ოთხში არიან ბავშვები—უილიამ რუზველტეს—ოთხი, ისააკ სტერნს—ორი, ჯორჯ გულდს—ხუთი და ჯონ ჯაკობ არტორს—ერთი; სულ თორმეტი ბავშვი. დე-ნოსვინსი ამბობს, არ არის არც ერთი მდიდარი ამერიკელი ქალი ისეთი, რომ ქმრად ამოირჩიოს კაცი მხოლოდ ნიჭის ანუ კარგის გულისა და ხასიათისათვის. საზოგადოდ ამერიკელი მდიდარი ქალები ქმრებად ირთავენ საფრანგეთისა და ინგლისის მაღალ წოდების წარმომადგენელთ. გულდის ქალს, რომელიც გრაფს კასტელიანს მისთხოვდა, მამამ მზითვად 75 მილიონი დოლარი გაატანა. ჰერცოგს მალბეროს ცოლმა 50 მილიონი დოლარი მიუტანა მზითვად. ამერიკის უმაღლეს წოდების ახალგაზდა კაცებმა შეირთეს ჩინეთის ყულის ა-ფონგის ქალიშვილები. ა-ფონგი ძლიერ მდიდარი კაცია. 15 შვილი ჰყავს, 13 ქალი და 2 ვაჟიშვილი. 9 ქალიშვილი ჯერ ისევ გასათხოვარნი არიან, თითოს რამდენიმე მილიონი აქვს მზითვად. ვისაცა ჰსურს, შეუძლიან შეირთოს.

## გამოსადეგი ცნობა

—

ქათმის კვერცხის შენახვა. ცივ წყალში გახსენით 6% მარილი და ჩაურიეთ ცოტა კირი. ქილაში კვერცხები ჩააწყეთ, დაასხით ეს წყალი და ქილას პირი მაგრა დაუცეთ.

# დეპეშა

1 თებერვალი.

**კანეა.** საეროვნო კრების მოწვევა დანიშნულია 8 თებერვლისათვის.

**პარიჟი.** იმ საბუთის ქაღალდებს, რომელნიც დრეიფუსის საქმის ხელახლა განხილვის გამო მომხდარ გამოძიებას ეკუთვნიან, ამ ახლო ხანში დაჰბეჭდავენ და მაშინვე აცნობებენ საკასაციო სასამართლოს ყველა წევრებს. საბოლოოდ საქმე, როგორც ჰფიქრობენ, გადასწყდება აღდგომამდე.

**სტოკჰოლმი.** მდიდარმა მწარმოებელმა გამბერმა გამოუცხადა პროფესორს ნოტგარსტს, რომელსაც აზრადა აქვს ექსპედიცია შეადგინოს აღმოსავლეთ გრენლანდიაში გასაგზავნად ანდრეს მოსაძებნად, რომ მოვაწყობ და უსასყიდლოთ დაგითმობთ ამ საქმისათვის ჩემს გემს „Necla"-სო.

4 თებერვალი

**ბერლინი.** გაზეთების სიტყვით, სამხედრო მინისტრმა განაცხადა კომისიაში, რომ საფრანგეთში შემოღებულმა ახალმა ზარბაზანმა მოლოდინი არ გაამართლა, ხოლო ამისდა მიუხედავად მერმისში გერმანიას ანგარიშის გაწევა მოუხდება საფრანგეთის ჯართან, რომელიც ღირსებით გერმანიისას არ ჩამოუვარდებაო.

**სოფია.** „ბოლგარიის სააგენტოს" სიტყვით, ის გავრცელებული ხმა, რომ ვითომ მთელი კაბინეტი ანებებდეს თავს სამსახურს, ანუ ერთი მინისტრთაგანი,—ყოვლსავე საფუძველს არის მოკლებული და განგებ არის გავრცელებულიო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 თებერვალი

| | მყიდვ. ფასი | გამყიდ. ფასი | ნაყიდი ფასი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $225\frac{3}{4}$ |
| $3\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $95\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| $4\frac{1}{2}$%იმავე ბანკისა | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგ დოებისა . . . | $99\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე საზოგადოებისა. . . | $98\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $290\frac{1}{2}$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | $276\frac{3}{4}$ |

## წერილი რედაქციის მიმართ

ვულითადს მადლობას ვუცხადებთ გაზეთ „კვალისა" და „ივერიის" რედაქციებს, პირველს მუქთად და მეორეს ნახევარ ფასად თავიანთ გამოცემათა დათმობისათვის.

ამხანაგთა მონდობილობით ტფილისის სატეხნიკო სასწავლებლის მოწაფე ნ. ნიორაძე

## განცხადებანი

„Грѣхи Молодости"

ПОУЧИТЕЛЬНОЕ СЛОВО КО ВСѢМЪ, РАЗСТРОИВШИМЪ СВОЮ НЕРВНУЮ СИСТЕМУ ОНАНИЗМОМЪ И РАСПУТСТВОМЪ.

Соч. Д-ра ЛОРЕНЦЪ.
Русское изданіе Д-ра Б—а.
цѣна 1 руб.

Эта полезная книга содержитъ множество совѣтовъ, какъ избавиться страдающимъ отъ вредныхъ послѣдствій вышеозначенныхъ пороковъ и возстановить разстроенныя силы и здоровье. Книга эта разрѣшена Москов. Цензурнымъ Комитетомъ.

Складъ изданія только у ОТТО АСПЕРГЕРА ВЪ ЛЕЙПЦИГѢ (Саксонія). Иногородные за почтов. пересылку не платятъ.

(12—მ.—3)

ИЮიდება ИАფАд... 

იყიდება იაფად და პირიანად

სხვა და-სხვა საგალანტერეინო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

შკაფი № 21.

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.

ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—ნ.—10) ი. ნიკოლაშვილი